I. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ისტორია

THE HISTORY OF THE FACULTY OF ARCHITECTURE, URBAN PLANNING AND DESIGN OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ისტორია

THE HISTORY OF THE FACULTY OF ARCHITECTURE, URBAN PLANNING AND DESIGN OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დღემდე მოღწეული ქართული არქიტექტურული მემკვიდრეობის თვითმყოფადობა ნათლად მეტყველებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ოდითგანვე მოღვაწეობდნენ მაღალი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ხუროთმოძღვრები. ქართულ საისტორიო წყაროებში მრავლად არის მოხსენიებული მათი სახელები და მათ მიერ შთამომავლობისათვის დატოვებული ზოგადსაკაცობრიო კულტურული ღირებულების მქონე ნაწარმოებები.

საქართველოში მოპოვებული ძველი არქეოლოგიური მასალები, კერძოდ, IV საუკუნით დათარიღებული ბერძნული წარწერები მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყნის ძველ დედაქალაქ მცხეთას ჯერ კიდევ იმ დროს ჰყოლია ქალაქის ხუროთმოძღვარი და მხატვართუხუცესი ავრელი აქოლისი.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოიხსენიება ხანძთის ეკლესიის მშენებელი, X საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე ამონა. ასევე შემონახულია X საუკუნის მოღვაწეების: ოშკის მაშენებლის გრიგოლის, ერედვის წმ. გიორგის ტაძრის ხუროთმოძღვრის თეოდორე თაფლაისძის, მარტვილის ტაძრის დასავლეთ ექვტერის მშენებლის მიქაელ ოპიზარის, კუმურდოს ტაძრის არქიტექტორის საკოცარის, XI საუკუნეში მოღვაწე ფოკას ეკლესიის მშენებლის ბავრელის, დიდი გომარეთის ღვთისმშობლის ეკლესიის ამშენებლის მიქაელ ხუცესის, სამთავისის ტაძრის ხუროთმოძღვრის ვაჩე ყანჩაელისძის, შემდგომში ეპისკოპოს ილარიონ სამთავნელის, XIII ს-ის ხუროთმოძღვრის გუდარეხის, ტაძრის ავტორის ჭიჭაფორისძის და მრავალ სხვათა სახელები. საკათედრო ტაძარ სვეტიცხოვლის კედლის წარწერაში დღემდე შემონახულია XI საუკუნეში მოღვაწე ხუროთმოძღვარ არსუკიძის სახელი.

როგორც ჩვენამდე მოღწეული ძეგლების მრავალმხრივი ანალიზი (მათ შორის არქიტექტურული და კონსტრუქციული) ცხადჰყოფს, ქართული ხუროთმოძღვრების ხანგრძლივ და უაღრესად საინტერესო ისტორიას კარგად განსწავლული ადამიანები ქმნიდნენ. თუმცა საისტორიო წყაროებმა ვერ შემოგვინახა ცნობები საქართველოში იმ დროს მოქმედი სახუროთმოძღვრებო-საგანმანათლებლო კერების შესახებ.

XIX - XX საუკუნეების მიჯნაზე კლასიკურ არქიტექტურულ განათლებას ქართველი ახალგაზრდები დასავლეთ ევროპის და რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში იღებდნენ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსი / I corps. of the Georgian Technical University

The originality of the heritage of Georgian architecture surviving to our day, clearly speaks to the fact that our country has seen many talented architects since ancient times. Georgian historical sources preserve their names and the heritage they left to the future generations are masterpieces that belong to universal cultural values.

The oldest archaeological data, namely Greek inscriptions of the 4th century indicate that Mtskheta, the old capital of Georgia, even at that period had its own master architect and artist, Aurelius Akolis.

The Life of Grigol Khandzteli mentions the builder of the church of Khandzta, a certain Amona, who worked during the first half of the 10th century. History also preserves the names of architects working at the same period: Grigol, the builder of Oshki cathedral; Theodorus Taplaisdze, the master builder of St. George cathedral at Eredvi; Michael Opizari the builder of the western portal of the cathedral of Martvili; Sakotsari, the architect of Kumurdo cathedral. The builders of the 11th century include: Bavreli, the builder of Foka church; Michael Khutsesi, the builder of the cathedral of Our Lady of Gomareti; Vache of Khanchaeli, later bishop Hilarion Samtavneli, the master builder of Samtavisi cathedral. We also hear of Chichaforisdze, the builder of Gudarekhi cathedral from the 13th century and many more. A mural inscription on Svetistkhoveli Cathedral still preserves the name of its architect Arsukidze, who worked in the 11th century.

Architectural and constructional analysis of the surviving monuments indicates that the long and remarkable history of Georgian architecture created by personalities of great knowledge and learning. But the historical sources fail to provide information concerning medieval architectural educational centres.

At the turn of the nineteenth and twentieth centuries, Georgian youth obtained their architectural education at institutions in Russia and Western Europe.

ალექსანდრე დიდებულიძე
ALEXANDER DIDEBULIDZE

საქართველოში უმაღლეს არქიტექტურულ განათლებას 1922 წლის 16 იანვარს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი. მის პირველ დეკანად არჩეულ იქნა პროფესორი ალექსანდრე დიდებულიძე.

პოლიტექნიკური ფაკულტეტი სამი განყოფილებისაგან (სამშენებლო, მექანიკური და სამთამადნო) შედგებოდა. სამშენებლო განყოფილების ერთ-ერთ სპეციალობას, საგზაო და ჰიდროტექნიკურთან ერთად, წარმოადგენდა „არქიტექტურა“. ეს უმაღლესი სასწავლებელი თანამედროვე არქიტექტურული განათლების პირველ კერა გახდა. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი არქიტექტორები: ლეონ მელიქსედბეკოვი, მიხეილ ნეპრინცევი, სერგეი უკრაინცევი და სხვები.

1924 წელს სამშნებლო განყოფილების არქიტექტურის სპეციალობას „სახუროთმოძღვრებო“ ეწოდა. 1928 წლის ოქტომბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შერწყმით, რომელიც 1917 წლიდან ფუნქციონირებდა, დაარსდა დამოუკიდებელი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი – საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი – სამშენებლო, სამთო-ქიმიური და მექანიკური ფაკულტეტებით.

პირველი ქართული უმაღლესი არქიტექტურული განათლების დიპლომის მფლობელები გახდნენ მომავალში საქვეყნოდ ცნობილი არქიტექტორები: არჩილ ქურდიანი და ქეთევან სოკოლოვა–ფორაქიშვილი, რომლებმაც 1928 წელს დაამთავრეს ეს ინსტიტუტი.

ამ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელს 1936 წელს ეწოდა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი, ხოლო 1947 წლიდან – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელმაც 1990 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო.

1969 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის არქიტექტურის კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბდა არქიტექტურის ფაკულტეტი, რომელშიც შედიოდა სამი კათედრა: არქიტექტურული დაგეგმარების (კათედრის გამგე – ირაკლი ციციშვილი), არქიტექტურის შესავლის (კათედრის გამგე – მიხეილ ლორთქიფანიძე) და არქიტექტურული კონსტრუქციების.

არქიტექტურის ფაკულტეტის პირველ დეკანად არჩეულ იქნა დოცენტი აკაკი ბერიშვილი, რომელიც იმავდროულად ითავსებდა არქიტექტურული კონსტრუქციების კათედრის გამგის თანამდებობას.

ქეთევან სოკოლოვა-ფორაქიშვილი, არჩილ ქურდიანი
Ketevan Sokolova-Poraqishvili, Archil Kurdiani

არქიტექტურის ფაკულტეტს სხვადასხვა წლებში, როგორც დეკანები ხელმძღვანელობდნენ: აკაკი ბერიშვილი (1969-1972 წწ.), ნოდარ მგალობლიშვილი (1973-1974 წწ.), თინათინ ჩიჩუა (1974-1975 წწ.), მიხეილ ლორთქიფანიძე (1975-1978 წწ.), გიორგი სალუქვაძე (1978-1983 წწ.), კონსტანტინე ამირეჯიბი (1983-1987 წწ.), ნიკოლოზ შავიშვილი (1987-1989 წწ.), გოჩა მიქიაშვილი (1989-1991 წწ.).

1991 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი გადაკეთდა ტექნიკურ უნივერსიტეტად, მის შედგენილობაში მყოფი არქიტექტურის ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა არქიტექტურის ინსტიტუტი, რომლის დირექტორი 1991-2005 წლებში გახლდათ არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი გიორგი სალუქვაძე. საგანმანათლებლო პროცესს მასთან ერთად წარმართავდნენ დირექტორის მოადგილეები, პროფესორები: 1991-1996 წლებში სასწავლო დარგში ელენე კალანდაძე, 1997 წლიდან თამარ ჭანტურია, ხოლო სამეცნიერო დარგში 1991-1993 წლებში ლადო ვარდოსანიძე, 1994 წლიდან ლევან ბერიძე.

აკაკი გერიშვილი
AKAKI BERISHVILI



ნოდარ მგალობლიშვილი
NODAR MGALOBLISHVILI

თინათინ ჩიჩუა
TINATIN CHICHUA

მიხეილ ლორთქიფანიძე
MIKHEIL LORDKIPANIDZE

გიორგი სალუქვაძე
GIORGI SALUKVADZE

კონსტანტინე ამირეჯიბი
KONSTANTIN AMIREJIBI

ნიკოლოზ შავიშვილი
NIKOLOZ SHAVISHVILI

გოჩა მიქიაშვილი
GOCHA MIKIASHVILI

2005 წელს საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" შესაბამისად, მიმდინარე ინსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტს კიდევ ერთხელ შეეცვალა სახელი და ეწოდა არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. ფაკულტეტის დეკანად არჩეულ იქნა პროფესორი გოჩა მიქიაშვილი, რომელიც მის მოადგილეებთან – ბატონ გიორგი (გია) ნაცვლიშვილსა და ქალბატონ თამარ ჭანტურიასთან ერთად დღემდე ხელმძღვანელობს ფაკულტეტს.

იმავე 2005 წელს საქართველო ევროპის ქვეყნების განათლების მინისტრთა ბერგენის სამიტზე ბოლონიის პროცესს შეუერთდა. ბოლონიის დეკლარაციის ძირითადი პრინციპების შესაბამისად არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე სწავლებამ საბოლოოდ მიიღო სამსაფეხურიანი სისტემის სახე.

პირველი ოთხწლიანი საფეხური მოიცავს პროფესიული და საბაკალავრო განათლების პროგრამებს, მეორე საფეხური ორწლიანია და მოიცავს სამაგისტრო პროგრამებს, ხოლო მესამე საფეხური, რომელიც სამწლიანია მოიცავს დოქტორანტურას. დღეს არქიტექტურის ფაკულტეტზე 700-მდე სტუდენტი სწავლობს და მათ 130-მდე პედაგოგი ასწავლის.

ფაკულტეტზე მოქმედი აკადემიური პროგრამები მოიცავს არქიტექტურული განათლების მრავალ ისეთ ასპექტს, რაც ავითარებს სტუდენტების მიერ როგორც ტექნიკური, ასევე ესთეტიკური მოთხოვნების შესაბამისი არქიტექტურული პროექტების შექმნის უნარს და რაც ტექნოლოგიების, ტექნიკური და ჰუმანიტარული მეცნიერებების, არქიტექტურის ისტორიის, თეორიის, ნატიფ ხელოვნებათა დარგების, როგორც არქიტექტურული დაპროექტების ხარისხზე ზემოქმედი ფაქტორების, შესწავლას ეფუძნება.

მარცხნიდან: ქ. ბოჭორმელი, ი. ციციშვილი, ა. სოხაძე, ა. ბერიშვილი, გ. სალუქვაძე, თ. კვირკველია, ვ. გაგოშიძე, თ. მახარაშვილი, ე. ფიფია, მ. ლორთქიფანიძე. უკანა რიგში: ნ. შავიშვილი, გ. ჯანბერიძე, ჰ. მოსულიშვილი, კ. ამირეჯიბი

From left: K. Bochormeli, I. Tsitsishvili, A. Sokhadze, A. berishvili, G. Salukvadze, T. Kvirkvelia, V. Gagoshidze, T. Makharashvili, E. Pipia, M. Lordkipanidze. Second row: N. Shavishvili, G. Janberidze, H. Mosulishvili, K. Amirejibi

ფაკულტეტის კრება / Council of the Faculty

ფაკულტეტის თანამშრომლები / Stuff of the Faculty

გიორგი სალუქვაძე
GIORGI SALUKVADZE

გოჩა მიქიაშვილი
GOCHA MIKIASHVILI

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ორი დეპარტამენტი:

არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის დეპარტამენტი (ხელმძღვანელი, პროფესორი მზია მილაშვილი), რომელშიც გაერთიანებულია შემდეგი აკადემიური მიმართულებები:

- არქიტექტურული დაგეგმარების საფუძვლების მიმართულება (ყოფილი N98 კათედრა)
- სახვითი ხელოვნების (N106)
- შენობა-ნაგებობათა არქიტექტურული კონსტრუქციების და არქიტექტურული ფიზიკის (N97)
- არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის ისტორიის და თეორიის (N128).

არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის (ურბანისტიკის) დეპარტამენტი
(ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო იმნაძე).

ამ დეპარტამენტებში გაერთიანებულია შემდეგი აკადემიური მიმართულებები:

- არქიტექტურული დაგეგმარების (N24)
- ურბანული დაგეგმარების (N108)
- ინტერიერის და გარემოს დიზაინის (N116).

ყველა ამ მიმართულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფაკულტეტზე მოქმედი სასწავლო პროგრამების განხორციელების პროცესში. თითოეული მათგანი აერთიანებს მონათესავე აკადემიურ დისციპლინებს, რასაც მოდულების სახე აქვთ. ისინი ხელს უწყობენ სტუდენტების მიერ ჰუმანიტარული, სოციალური, კულტურული, ურბანული ფასეულობების, გარემოს დაცვისა და არქიტექტურული მემკვიდრეობის მიმართ პასუხისმგებლობის გაცნობიერებას და უზრუნველყოფენ მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით პროექტირების განხორციელებისათვის, გარემოს შენარჩუნებისა და რეაბილიტაციისათვის საჭირო ცოდნის მინიჭებას.

The foundation for higher architectural education in Georgia was laid on January 16, 1922, when the Polytechnic Faculty at the Tbilisi State University opened its doors. The Dean at the time was Professor Alexander Didebulidze. The Polytechnic Faculty included three departments (Construction, Mechanics, Mountain Mining). One of the branches of Department of Construction, apart from road infrastructure and hydrotechnics, was architecture. It became the hearth of contemporary architectural education. Leon Meiqsed-Bekov, Mikheil Neprintsev, Sergei Ukraintsev were among the prominent personalities involved in academic life at the time.

In October 1928 an independent higher technical school, the Georgian Polytechnic Institute, was created from the Polytechnic Faculty of Tbilisi State University and the Tbilisi Polytechnic Institute (founded in 1917). It had three faculties: Construction, Mining and Chemical, and Electromechanics.

Archil Kurdiani, and Ketevan Sokolova-Poraqishvili, who would become very prominent on the Georgian architectural scene, were the first graduates and diploma holders to be educated in Georgia at the State Polytechnic Institute in 1928.

In 1936 this higher educational institution was renamed into the Georgian Industrial Institute. Since 1947 it has been known as the Georgian Polytechnic Institute and since 1990 – as the Georgian Technical University.

In 1969, the Faculty of Architecture emerged from the Department of Architecture in the Faculty of Construction of the Georgian Polytechnic Institute. It was headed in succession by: Akaki Berishvili (1969-1972), Nodar Mgaloblishvili (1973-1974), Tinatin Chichua (1974-1975), Mikheil Lortkipanidze (1975-1978), Giorgi Salukvadze (1978-1983), Constantine Amirejibi (1983-1987, Nikoloz Shavishvili (1987-1989), and Gocha Mikiashvili (1989-1991);

In 1991 the Georgian Polytechnic Institute was transformed into the Georgian Technical University, and from the Faculty of Architecture there was created the Institute of Architecture, the director of which between 1991 and 2005 was Professor Giorgi Salukvadze, Doctor of Architecture.

In 2005, in accordance with constitutional changes in the law “On higher education”, the Institute of Architecture changed its name again and was named the Faculty of Architecture, Urban Planning and Design. The elected head of the faculty since then has been Professor Gocha Mikiashvili. It is noteworthy that Georgia joined Bologna process in the same year 2005 at the Bergen Summit of the Ministers of Education.

ფაკულტეტის თანამშრომლები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შენობის წინ / Stuff of the faculty

ლევან ბერიძე, გიორგი სალუქვაძე, თამარ ჭანტურია / Levan Beridze, Giorgi Salukvadze, Tamar Chanturia

ფაკულტეტის დეკანატის თანამშრომლები / Stuff of the Deans office

In accordance with fundamental principles of the Bologna Declaration, learning process at the Faculty of Architecture, Urban Studies and Design consists of three stages. The first four years include professional and undergraduate (Bachelor's degree) programmes; the second stage takes two years and includes Master's programmes; the third, three-year long step is the Doctorate. The Faculty of architecture enrolls around seven hundred students and enjoys the expertise of 130 professors and teachers.

Academic programs on the Faculty include the different aspects of architectural education, which provides the students with ability to create architectural design, that satisfy both aesthetic and technical requirements on the bases of knowledge of the history and theories of architecture, technologies, technical and human sciences and fine arts, as an influence on the quality of architectural design.

There are two departments in the Faculty: **the Department of the Basics of Architecture and Theory** (led by Professor Mzia Milashvili) and **the Department of Architecture and Urban Design (Urbanistics)** (led by Professor Nino Imnadze).

The following Courses are included in these Departments:

- The Course in the Basics of Architectural Design
- Fine Art
- The Structural Engineering of Buildings and Architectural Physics
- History and Theory of Architecture and Urbanistics
- Architectural Design
- Urban Design (Urbanistics)
- Interior and Environment Design.

მზია მილაშვილი
MZIA MILASHVILI

ნინო იმნაძე
NINO IMNADZE

All these courses enjoy their special role in the process of fulfillment of academic programs at the faculty. Each of them brings together related academic disciplines that are structured as modules. Our courses are aimed at deepening the knowledge of our students and increasing their sensibility toward human, social, cultural, urban and environmental values, as well as developing their sense of responsibility towards architectural heritage, at the same time providing them with the knowledge of methods and means required for ensuring environmental conservation and rehabilitation in the process of sustainable architectural design.